საქართველოს
სახალხო დამცველი

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2015 წელი

www.ombudsman.ge

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ამ გამოცემის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს

ანგარიში მომზადებულია ბრიტანეთის საელჩოს და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს ოფისის მიერ დაფინანსებული პროექტის - "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად"- ფარგლებში. წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

შესავალი 4

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი
და გამოვლენილი ხარვეზები 6

საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესი,
როგორც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ფორმა 16

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტები 19

განსახლებულ დევნილთა ინტეგრაცია 25

ერთჯერადი ფულადი დახმარება 28

დასკვნა 29

რეკომენდაციები 30

შესავალი

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და დაცვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ისევე როგორც 2014 წელს, 2015 წელსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში საკმაოდ მაღალი იყო. მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული პროექტი[1] აქტიურად ახორციელებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მონიტორინგს მთელი საქართველოს მასშტაბით. განხორციელდა 700-ზე მეტი ვიზიტი დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 900-ზე მეტ დევნილ პირს. მოცემული ანგარიში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ფაქტებს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში კონკრეტული განცხადებების შესწავლასა და ზოგადი სიტუაციის ანალიზს ეყრდნობა.მონიტორინგის და განცხადებების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესის და წინ გადადგმული ნაბიჯისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უდიდესი ნაწილისთვის მძიმე საცხოვრებელი პირობები და საცხოვრებელი ფართის არქონა კვლავ უმთავრესი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის განმავლობაში არაერთი კომპაქტურად განსახლების ობიექტის პრივატიზაცია განხორციელდა და არაერთი ნგრევადი ობიექტიდან მოხდა დევნილთა განსახლება, მათ დიდ ნაწილს კვლავ უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. პრობლემად რჩება დევნილთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე. აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნას დევნილთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სხვადასხვა საკითხებზე იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ინფორმირებულობას.

2014 წლის მსგავსად, 2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში. გარდა ამისა, სახალხო დამცველი არის დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

საანგარიშო წლის 18 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #2721 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის

1 პროექტი "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად"დაფინანსებულია ბრიტანეთის საელჩოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ.

განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“. ცვლილებები შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანებაში, რომელიც აწესებს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებს. 2015 წელი გამოირჩეოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მასშტაბური პროექტების განხორციელებით.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი და გამოვლენილი ხარვეზები

დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე, სახელმწიფოს პრიორიტეტებად კვლავ მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალურ ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა რჩება.

დღეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების 4 ძირითადი პროგრამა არსებობს:

- რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ შენობებში დევნილთა განსახლება
- დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური სახლებისა და ბინების შეძენა („სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში)
- კერძო საკუთრებაში არსებული დევნილთა ჩასახლებების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა (პრივატიზების პროცესის გზით)
- იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის“ წესი. დევნილის განცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია.[2]



2 საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულ კომისიის საქმიანობაზე ახორციელებს მონიტორინგს დაკვირვებლის სტატუსით განსახლების ნაწილში.

დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 268 034 დევნილი. დევნილთა საერთო რაოდენობიდან ე.წ. „კერძო სექტორში“ 142 659 დევნილი პირი ცხოვრობს, ხოლო ყოფილი კომპაქტური განსახლების ობიექტებში 125 375 დევნილი პირია რეგისტრირებული.[3]

2015 წლის განმავლობაში გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 1855 დევნილი ოჯახი,[4] აქედან, საცხოვრებელი სახლის შესყიდვა (სოფლად სახლი) განხორციელდა 479 ოჯახისათვის, იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა - 49 ოჯახი, რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ შენობებში განსახლდა - 1327 ოჯახი. **55 450** დევნილი ოჯახი კვლავ საჭიროებს თავშესაფრით უზრუნველყოფას.[5]

ამავე ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე, დროებითი განსახლების პროგრამის ფარგლებში **660** ოჯახს გაეწია საცხოვრებლის დაქირავების მიზნით ფულადი დახმარება.

2015 წლის განმავლობაში გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 1855 დევნილი ოჯახი



2015 წლის 6 მარტს მინისტრის N320 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნებისათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ალტერნატიული შესაძლებლობა – დევნილთათვის იპოთეკური სესხის დაფარვა ერთჯერადი ფულადი დახმარებით.[6] ცვლილებებით დამტკიცდა იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განაცხადის ფორმა[7] და განისაზღვრა პირთა წრე.

3 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 15 დეკემბრის #01-02/08/31549 წერილი.

4 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 10 დეკემბრის #01-02/08/31048 წერილი.

5 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 15 დეკემბრის #01-02/08/31549 წერილი.

6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 06/03/2015 ბრძანება N309.

7 „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება, დანართი 2[2].

განაცხადით მიმართვის უფლება მიენიჭათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებმაც 2015 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი. დევნილი ოჯახების იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე მიღებულ განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ოჯახი იღებს ერთჯერად ფულად დახმარებას დევნილი ოჯახის მიერ დასაფარი იპოთეკური სესხის ოდენობით, არაუმეტეს 20 000 ლარისა. განაცხადების მიღების ვადად განისაზღვრა ერთი თვე.[8]

საქართველოს სახალხო დამცველმა დევნილი ოჯახების მიერ იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განცხადების წარმოდგენისათვის დადგენილი არაგონივრულად მცირე ვადების გადახედვასთან დაკავშირებით სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა.[9] ვინაიდან იპოთეკური სესხის დაფარვა განსახლების ისეთივე ალტერნატივას წარმოადგენს, როგორიც არის დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა, სახალხო დამცველმა მიზანშეუწონლად მიიჩნია, იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამის ვადებში შეზღუდვა. ორივე პროგრამა შინაარსობრივად მსგავსია, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების მოძიება. ორივე შემთხვევაში, დევნილებს სახელმწიფო უწევს ერთჯერად ფულად დახმარებას მათი გრძელვადიანი განსახლების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა გაგრძელებულიყო განაცხადების მიღების ვადა ან დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის მსგავსად, იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამით სარგებლობისას დევნილ ოჯახებს მისცემოდათ სამინისტროსთვის დროში შეუზღუდავად მიმართვის შესაძლებლობა. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით[10] დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ იმსჯელა ვადების გახანგრძლივების თაობაზე და მიღებული გადაწყვეტილებით არ დადგინდა იპოთეკური სესხის დაფარვის შესახებ განაცხადების მიღების ვადის გაგრძელების საჭიროება.

მინისტრის #320 ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი პროცედურები, რომელიც წინ უსწრებს დევნილისთვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას. ასეთი წესების არსებობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის რეგულაციისა და საცხოვრებელი ფართების განაწილების დროს, სამართლიანობის პრინციპის დაცვის მხრივ. ზემოაღნიშნული ბრძანება, საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მოიცავს რამდენიმე პროცედურას. კერძოდ, პირველ ეტაპზე სამინისტრო დევნილ ოჯახებს აწვდის ინფორმაციას გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების შესახებ. შესაბამისად, დევნილებს ეძლევათ შესაძლებლობა წარადგინონ განაცხადი და შეავსონ ბრძანებით

8 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < http://mra.gov.ge/geo/news/show/189/8032 > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 26 აპრილს]; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე < http://mra.gov.ge/geo/news/show/189/7523 > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 26 აპრილს].

9 საქართველოს სახალხო დამცველის 28.04.2015წ. რეკომენდაცია N04-9/3200.

10 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N01-02/08/12942 18.05.2015.

გათვალისწინებული კითხვარი სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ობიექტში საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახდენს განაცხადების დამუშავებას ბრძანებით შემუშავებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად. შემდეგ, დამუშავებულ მასალას უგზავნის კომისიას, განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ №320-ე ბრძანების მიხედვით დევნილთა განსახლების პროცესში პრიორიტეტი ენიჭებათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ნგრევად და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით.

სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშში საუბრობდა იმ ობიექტებზე, რომლებთან დაკავშირებითაც სამინისტრომ შენობების მდგრადობის თაობაზე „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან“ ინფორმაცია მოითხოვა. სახალხო დამცველმა ასევე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში, პრიორიტეტი მიანიჭოს იმ ობიექტებიდან დევნილთა განსახლებას, რომლებზეც არსებობს საექსპერტო დასკვნა ავარიულობის შესახებ. სახალხო დამცველი 2015 წლის განმავლობაში აქტიურად აკვირდებოდა ავარიული შენობებიდან დევნილების გამოყვანის პროცესს.

თბილისი

2015 წელს ყველაზე მასშტაბურად განსახლების პროცესი თბილისში წარიმართა. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, როგორც კომისიის მიერ ბინების განაწილების, ასევე კენჭისყრის პროცესს.

სამინისტრომ 2015 წლის დეკემბერში **561** დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი გადასცა თბილისის ზღვაზე, ე.წ. „ოლიმპიურ სოფელში“ და მენაშენეებისგან გამოსყიდულ თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ კორპუსებში. საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით სამინისტროს 10 010-მდე დევნილმა მიმართა.[11]

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, მინიჭებული ქულების საფუძველზე, შეირჩა ყველაზე მაღალი ქულების მქონე ის დევნილი ოჯახები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფებმა ადგილზე შეისწავლეს.

11 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება თბილისის ბინების განაწილებასთან დაკავშირებით, http://mra.gov.ge/geo/news/show/189/10096

მონიტორინგის სამსახური 18 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მუშაობდა, რის შემდეგაც მოკვლეული მასალები, განსახილველად, დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას გადაეცა. ამ კომისიის მუშაობა კი 21 სექტემბერს დაიწყო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, კომისიის მუშაობაში ნებისმიერი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეეძლოთ დამკვირვებლის სტატუსით ჩართვა.

კომისიის წევრები ინდივიდუალურად განიხილავდნენ თითოეული დევნილი ოჯახის მონაცემებსა და მონიტორინგის შედეგებს. გადასაცები ბინის ოთახების რაოდენობა სულადობის მიხედვით განისაზღვრა.[12]

ბინების განაწილების პროცესი სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა:

1. ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილი ოჯახების გაყვანა;

2. სასამართლოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით;

3. კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლება.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ასახულ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტებთან დაკავშირებით მომზადდა საექსპერტო დასკვნები. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, თბილისში მდებარე დევნილთა განსახლების 14 ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი (ამათგან, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2 ობიექტიდან დევნილები უკვე გადაყვანილნი და განსახლებულნი არიან).

2015 წელს თბილისში, **178 დევნილი ოჯახი** დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით ნგრევად და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ დევნილთა განსახლების ობიექტებიდან (სასტუმრო აეროპორტიდან-85 ოჯახი; სასტუმრო კოლხეთიდან-80 ოჯახი და 13 დევნილი ოჯახი სხვადასხვა ნგრევადი ობიექტებიდან).[13]

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში იძულებით გადაადგილებული პირების განცხადებების შესწავლამ გამოავლინა განსახლების პროცესში დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ მათი განსახლების საკითხის განხილვის ამსახველი ოქმის დასაბუთების პრობლემა. კერძოდ, კომისიის მიერ დევნილების განსახლებასთან

12 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება http://www.mra.gov.ge/geo/news/show/189/9827

13 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 29 იანვრის #01-02/08/3150 წერილი

დაკავშირებით მიღებული უარყოფითი შეფასების შემთხვევაში არ ხდება უარის, როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ მითითება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირს არ აქვს ინფორმაცია მის მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძვლების თაობაზე.

სასტუმრო „კოლხეთიდან" განსახლების პროცესში, ასევე გამოიკვეთა დევნილი ოჯახების აღწერისას რეგისტრაციის მისამართზე ოჯახების ფაქტობრივად არ ცხოვრების დამადასტურებელი აქტების არარსებობა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი განცხადებებიდან ირკვევა, რომ სასტუმრო „კოლხეთში" მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერის მიზნით სამინისტროს წარმომადგენლების მიერ განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი. განხორციელებული ვიზიტები მიზნად ისახავდა მისამართზე ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების იდენტიფიცირებას მათი შემდგომი გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განცხადებების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ იმ დევნილ ოჯახებთან დაკავშირებით, რომლებიც აღწერის დროს არ იმყოფებოდნენ სასტუმრო „კოლხეთში" რეგისტრაციის მისამართზე, სამინისტროს წარმომადგენლების მიერ არ ივსებოდა მისამართზე მისვლისა და ოჯახის ფაქტობრივად ცხოვრების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, უწყების მიერ არ ხდებოდა ოჯახის მისამართზე არყოფნის მიზეზის გამოკვლევა და შემდგომ გრძელვადიანი განსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დევნილთა მიერ დასახელებული მიზეზების გათვალისწინება.[14] აღნიშნულის გამო, სასტუმრო „კოლხეთში" მცხოვრები დევნილი ოჯახების ნაწილი გრძელვადიანი განსახლების პროცესის მიღმა დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ, მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სასტუმრო „კოლხეთიდან" დევნილთა კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე განსახლების პროცესში სამინისტროს მიერ არ იქნა შესწავლილი განსახლების ობიექტში აღწერისას დევნილთა არ ყოფნის მიზეზები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ოჯახი მისამართზე ვერ ცხოვრობდა სასტუმროში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო და დროებით თავს აფარებდნენ ახლობლის ოჯახებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ არ არის შემუშავებული პირის/ოჯახის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის დადგენის კრიტერიუმები. სამინისტროს პოზიციით, იძულებით გადაადგილებული პირის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებულ მისამართზე ფაქტობრივი საცხოვრებლის დადგენა ხდება მონიტორინგის განყოფილების მიერ არაერთი მონიტორინგის/აღწერის შედეგად. მათ შორის

14 საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილულ საქმეებში განმცხადებლები რეგისტრაციის ადგილზე არყოფნის სხვადასხვა მიზეზებზე მიუთითებდნენ: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილები: N04-9/10712 29.12.2015წ.; N04-10/206 11.01.2016წ.; 04-9/10328 18.12.2015წ.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ღამის ვიზიტი.[15] შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ცხოვრების დადგენის პროცედურები და შესაბამისი კრიტერიუმები არ არის გაწერილი სამართლებრივი აქტით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დევნილი ოჯახის განსახლების საკითხთან დაკავშრებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ–ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს დევნილი ოჯახის მუდმივად ცხოვრების ადგილის დეფინიციას.[16] განმარტების თანახმად, მუდმივი ცხოვრების ფაქტი გამოხატული უნდა იყოს აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დადასტურდეს, მაგ: გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით.

რაც შეეხება ბინების განაწილების კენჭისყრის პროცესს, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, 2015 წელს კენჭისყრის პროცესი მშვიდ და გამჭვირვალე გარემოში მიმდინარეობდა. აღნიშნულ პროცესზე დამკვირვებლად ნებისმიერ ორგანიზაციას შეეძლო ჩართულიყო. დევნილები ინფორმირებულები იყვნენ იმის თაობაზე, რომ ადგილზე უნდა გამოცხადებულიყო ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. ასევე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კენჭისყრის პროცესში გათვალისწინებული იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები და მათ ბინები პირველ სართულებზე კენჭისყრის გარეშე გადაეცათ.

მისასალმებელია, რომ თბილისში გრძელდება დევნილთა განსახლების პროცესი, თუმცა მათ კვლავ უწევთ ისეთ ობიექტებში ცხოვრება, რომლებიც ნგრევადი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველია. სამინისტრომ პრიორიტეტულად უნდა განიხილოს ზემოაღნიშნულ ობიექტებში მცხოვრები დევნილების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადებით მიმართა დევნილთა სამინისტროს.[17]

იმერეთი

2015 წელს სამინისტრომ იმერეთის რეგიონში, ქუთაისში, დადიანის ქ. N5-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში #320 ბრძანების საფუძველზე 65 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი გადასცა.

დადიანის ქუჩაზე მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით განაცხადი 2 587-მა დევნილმა ოჯახმა შეავსო. შენობაში სულ 65 ბინაა, აქედან 15-ერთოთახიანია, 40-ოროთახიანი და 10-სამოთახიანი.

15 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი 01–02/08/30622 4.12.2015წ.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე Nბს–1896-1849(კ-10). http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba51.pdf გვ.1.

17 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 06 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-ngrevad-obieqtebshi-mcxovreb-idzulebit-gadaadgilebul-pirta-gansaxlebastan-dakavshirebit.page

109 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს ახალი საცხოვრებელი სახლი გადაეცა (აქედან 45 ოჯახი ნგრევადი ობიექტებიდანაა), ქუთაისში, ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობაში. ობიექტის რეაბილიტაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა. ამ განსახლებით, ქუთაისში, 8 ნგრევადი ობიექტი დაიხურა. ერთ-ერთ ასეთ ობიექტს წარმოადგენს „ტურბაზა რიონი", რომელთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველი თავის არაერთ წლიურ ანგარიშში საუბრობდა.

ოცხელის ქუჩაზე, საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით, განაცხადი 1850-მა დევნილმა ოჯახმა შეავსო.

109 ბინიდან 44 -ერთოთახიანი, 53-ოროთახიანი, 12 ბინა კი-სამოთახიანია. აღსანიშნავია, რომ 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არის განკუთვნილი. ამასთან, საცხოვრებელი კორპუსი და გარე ინფრასტრუქტურაც სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე. ყველა საცხოვრებელ ბინას ინდივიდუალური სააბაზანო და სველი წერტილი აქვს.

#320 ბრძანების ფარგლებში შევსებული აპლიკაციებისა და მინიჭებული ქულების გათვალისწინებით დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი ფართები გადაეცათ ქუთაისში **შმიდტის ქ. #2 ში**. 2015 წლის განმავლობაში, **ზესტაფონში** უზნაძის ქ. #142-ში და რუსთაველის ქ. #6-ში რეაბილიტირებულ შენობებში განხორციელდა დევნილთა გრძელვადიანი განსახლება.

სამეგრელო

2015 წელს სამეგრელოს რეგიონი დევნილთა მასშტაბური განსახლების პროცესით გამოირჩეოდა.

ზუგდიდში, 10 ახალაშენებულ კორპუსში, 320 დევნილმა ოჯახმა მიიღო ბინა. კორპუსების აშენების შედეგად, 8 ნგრევადი ობიექტი დაიხურა, რომელიც შენობის მძიმე მდგომარეობის გამო, საფრთხეს უქმნიდა იქ მცხოვრები 104 დევნილი ოჯახის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ 8 ნგრევად ობიექტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშშიც საუბრობდა.[18] დევნილი ოჯახების შესახლება ახალაშენებულ კორპუსებში ეტაპობრივად მოხდა. 320 ბინიდან 40 -ერთოთახიანი, 160- ოროთახიანი, 120 - სამოთახიანი ბინაა.

18 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თვისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ. 809; http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf

ზუგდიდი, ახალსოფელი

2015 წლის 16 ივნისს ზუგდიდის რაიონ, სოფელ ახალსოფელში ახლად რეაბილიტირებულ ობიექტში 42-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო ბინა კენჭისყრის პრინციპით. დევნილი ოჯახების შერჩევა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად მოხდა. შენობაში სულ 42 ბინაა, აქედან 14 - ერთოთახიანი, 23 - ოროთახიანი, 5 - სამოთახიანი.

2015 წლის 8 აპრილს **ფოთში** მალთაყვის ჩასახლებაში და ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე კორპუსებში 15 დევნილი ოჯახისთვის ბინები ფარული კენჭისყრით განაწილდა. კენჭისყრის პროცესი მშვიდ ვითარებაში წარიმართა.განაწილებული 15 ბინიდან 7 ერთოთახიანი და 8 ოროთახიანია. ბინის მისაღებად განაცხადი 40 - მა დევნილმა ოჯახმა შეავსო, საიდანაც გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად 15 ოჯახი შეირჩა.

ახალციხეში რუსთაველის ქუჩა #113-ში ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ კორპუსში 26 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი.

მისასალმებელია, რომ საქართველოს მასშტაბით გრძელდება დევნილთა განსახლების პროცესი. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2016 წელს დევნილთა გრძელვადიანი განსახლება იგეგმება თბილისში, იმერეთში, ზუგდიდში, მარნეულში, ბორჯომში, ხაშურსა და გორში.[19] საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლის მსგავსად დააკვირდება აღნიშნულ ობიექტებში განსახლების პროცესს.

მიუხედავად გარკვეული პოზიტიური სიახლეებისა, საქართველოს მასშტაბით არაერთი დევნილთა განსახლების ობიექტი რჩება ნგრევადი და სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013-2015 წლებში **90-მდე ობიექტზე მომზადდა ექსპერტიზის დასკვნა** და ამ ეტაპზე მხოლოდ **38 ობიექტის** დახურვა განხორციელდა.[20]

19 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 10 დეკემბრის #01/02/08/31048 წერილი

20 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის 29 იანვრის #01-02/08/3150 წერილი

საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესი, როგორც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ფორმა

როგორც ცნობილია, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ ფორმას კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს. ზემოაღნიშნული პროცესი 2009 წელს დაიწყო (საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №62 განკარგულების საფუძველზე) და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კოლექტიური ცენტრების დევნილი ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემას გულისხმობს. აღნიშნული პროცესი არ არის რეგულირებული მინისტრის #320 ბრძანებით და დამოუკიდებელ პროცესს წარმოადგენს.

ყოფილი კომპაქტური განსახლების ობიექტებში **12 5375** დევნილია რეგისტრირებული.[21] დადებით შეფასებას იმსახურებს, ის გარემოება, რომ 2015 წელს დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, საქართველოს მასშტაბით **210** ობიექტზე დაიწყო და ეს პროცესი გრძელდება. 2016 წელს **75** ობიექტის პრივატიზება იგეგმება.[22]

ზოგადად პრივატიზების პროცესის დადებითად შეფასების მიუხედავად 2015 წელს პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა. მრავლად გვხვდება ისეთი ობიექტები, რომლებიც სათანადო საცხოვრებლის[23] მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს, თუმცა დევნილებს უკვე კერძო საკუთრებაში აქვთ გადაცემული.

ერთ-ერთ ასეთ მძიმე ობიექტს წარმოადგენს თბილისში, **ოქროყანის დასახლებაში** მდებარე კოტეჯები, რომელთა პრივატიზაციის პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია.

მძიმე მდგომარეობაშია **ქ.თბილისში პ.სააკაძის ქ.#19-ში** (ყოფილი წინამძღვრიშვილის ქუჩა) მდებარე ყოფილი კოლექტიური ცენტრი (მე-5 კლინიკური საავადმყოფოს შენობა, სადაც 113 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.). აღნიშნული შენობა პრივატიზირებულია 2009 წლის მერე მიუხედავად იმისა, რომ ობიექტთან დაკავშირებით არის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვით,

21 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 15 დეკემბრის #01-02/08/31549 წერილი

22 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 28 დეკემბრის #01-02/08/32332 წერილი

23 „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადააგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ" ქვეპუნქტის მიხედვით , სათანადო საცხოვრებელი გულისხმობს დევნილისათვის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელს სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის უსაფრთხოებისა და სანიტარული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები

ქ.თბილისში, პ.სააკაძის ქ.#19-ში მდებარე ობიექტი იმყოფება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში. შენობის მასშტაბური და მყისიერი ნგრევები რეალურია. შენობაში მობინადრეების ყოფნა სახიფათოა მათი სიცოცხლისათვის. შენობა დემონტაჟს ექვემდებარება.

უმძიმეს მდგომარეობაშია **ქ.წნორში**, დ.აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ე.წ. პურკომბინატის ბინები. მიუხედავად ამისა, დევნილები მაინც დათანხმდნენ სამინისტროს შეთავაზებაზე მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას, ვინაიდან არ ფლობდნენ ინფორმაციას ფართის პრივატიზებაზე უარის თქმის შემთხვევაში არსებული ალტერნატივების შესახებ.

წნორი, პურკომბინატის ბინები

სახალხო დამცველთან არსებული დევნილთა საკითხების პროექტის[24] ფარგლებში მომზადდა კითხვარი, რომლის მიხედვითაც მოხდა დევნილების გამოკითხვა, პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

24 პროექტი "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად"დაფინანსებულია ბრიტანეთის საელჩოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ.

იყავით თუ არა წინასწარ ინფორმირებული რა სახის
სარემონტო სამუშაოებს მოიცავდა რეაბილიტაცია?



გამოკითხული დევნილების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ.[25] კერძოდ, დევნილთა უმრავლესობა არინფორმირებულია, დევნილთა ოჯახების წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების შესახებ. გამოკითხული დევნილების უმრავლესობა ისე აწერდა ხელს საპრივატიზაციო ხელშეკრულებას, რომ ფართის რაოდენობას არ ამოწმებდნენ.კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფართების არათანაბარი განაწილება და ე.წ. „ნახევრად დაკანონებული“ ობიექტები, სადაც, არაერთხელ განხორციელდა აზომვითი სამუშაოები, თუმცა ამ დრომდე არ განხორციელებულა მათი სრული პრივატიზაცია. აღნიშნული პრობლემის გამო, დევნილები ვერ ახერხებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნას, ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვას და სხვა სამოქალაქო უფლებების რეალიზაციას, ვინაიდან შენობის მხოლოდ გარკვეული ნაწილია დაკანონებული. ზემოაღნიშნული საკითხები 2014 წლის ანგარიშშიც იყო განხილული.

კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ყოფილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესი. გამოკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ პრივატიზირებული ობიექტების უმრავლესობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა.

თუმცა, იმ ობიექტებში, სადაც სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, 2015 წლის განმავლობაში განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გადაცემულ ფართებში ჩატარებულ სარემონტო სამ უშაოებთან დაკავშირებით. სარემონტო სამუშაოების უხარისხობაზე საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა.

დადებითად უნდა შეფასდეს, საანგარიშო პერიოდში პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობა, ასევე, დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა პრივატიზაციის პროცესის ნებაყოფლობითობისა და პრივატიზებაზე უარის თქმის შემთხვევაში განსახლების ალტერნატივაზე.[26]

პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობას, საქართველოს სახალხო დამცველი 2016 წელსაც დააკვირდება და მომდევნო წლის ანგარიშში წარმოადგენს.

25 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანების დანართი #6

26 გამოკითხვის შედეგად, 2014 წელთან შედარებით, დევნილთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტები

დევნილთა უფლებების განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ" (შემდგომში-პრინციპები) წარმოადგენს. პრინციპების თანახმად, „ეროვნულ ხელისუფლებებს ეკისრებათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით".[27] დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე მოცემულია მე-18 პრინციპში, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუფერხებლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი „აუცილებელ საკვებსა და სასმელი წყალზე, თავშესაფარსა და საცხოვრებელზე, შესაფერის ტანისამოსზე, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სანიტარულ მომსახურებაზე".

სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით ძირითად დოკუმენტად მიჩნეულია „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი (შემდეგში – პაქტი). პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ეხება საცხოვრებლის უფლებას.[28] აღნიშნული მუხლის კომენტირების მომზადებისას, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა (შემდეგში – კომიტეტი) აღნიშნა, რომ საცხოვრებლის უფლება არ შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ ვიწრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მარტო ჭერის ქონას ნიშნავს. კომიტეტი აღნიშნულ უფლებას უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს და ბინის ქონის უფლებას სათანადო ბინის კონტექსტში განიხილავს.[29] „სათანადო საცხოვრებლის" კონცეფცია კი, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, რომელთა შორისაა „საცხოვრებლად ვარგისობა". აღნიშნული გულისხმობს მობინადრის უფლებას ჰქონდეს სათანადო ფართი და იყოს დაცული სიცივისაგან, ნესტისაგან, ჯანმრთელობისათვის მავნე ზემოქმედებისაგან და სხვა საშიში ფაქტორებისაგან.[30]

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონი დევნილს ანიჭებს უფლებას უზრუნველყოფილი იყოს სათანადო საცხოვრებლით საქართველოს ფარგლებში.[31] აღნიშნული კანონის მიზნებისათვის კი სათანადო საცხოვრებელი არის დევნილისათვის

27 გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ" მე-3 პრინციპი.

28 „... პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები. რომლებიც აღიარებენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის"

29 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის მე-4 ზოგადი კომენტარი, მე-7 პუნქტი;

30 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის მე-4 ზოგადი კომენტარი, მე-8 პუნქტი;

31 „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ" ქვეპუნქტი

საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და სანიტარიული თვალსაზრისით და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა.

სახლახო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ გარკვეულ ობიექტებში საცხოვრებელი პირობები ძალიან მძიმეა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტებზე, საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც დეტალურად საუბრობდა. [32]

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის განმავლობაში **თბილისში** არა ერთი ნგრევადი ობიექტიდან განხორციელდა დევნილთა განსახლება, რომლებზეც სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშშიც საუბრობდა[33] კვლავ მწვავე პრობლემად რჩება ავარიულ შენობებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების საკითხი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თბილისში რამდენიმე ობიექტი, მათ შორის **ნადარეიშვილის ქუჩა #6** -ში მდებარე შენობა. ობიექტში დაზიანებულია სახურავი, წყალგაყვანილობის სისტემა, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო მილები. გარდა ამისა, შენობასთან დაკავშირებით არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ შენობის არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია იქ მაცხოვრებლებისთვის. მიუხედავად ამისა, 5 დევნილი ოჯახი მრავალი წელია ამ მისამართზე ცხოვრობს.

ასევე უმძიმეს მდგომარეობაშია თბილისში, **იუმაშევის ქ.#21-ში „დუზანის“ და ჟორესის ქ.#7-ში მდებარე შენობები.**[34] სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშშიც საუბრობდა ამ ობიექტების უმძიმეს მდგომარეობაზე. დევნილებს, კვლავ მძიმე საცხოვრებელი პირობებიში უწევთ ცხოვრება თბილისში, **ჭავჭავაძის გამზირის #37-ში, დადიანის ქ.#2-ში** და **ჩანტლაძის ქ.#4/2-ში** მდებარე შენობებში[35]. 2015 წლის 16 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[36] მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებილ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ჩანტლაძის ქ. #4/2-ში მცხოვრები დევნილების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე, კერძოდ განხორციელებულიყო შენობის სათანადო საცხოვრებლის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მსგავსი სამუშაოების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დევნილები განსახლებულიყვნენ გრძელვადიანი/ მოკლევადიანი[37] განსახლების პროგრამის ფარგლებში.

32 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 616

33 სასტუმრო აეროპორტიდან, სასტუმრო კოლხეთიდან, ყაზბეგის ქ.#34-დან ჭავჭავაძის #49-დან და კახეთის გზატკეცილი #25-დან.

34 აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, შენობის არამდგრადობისა და ავარიულობის თაობაზე

35 ამ ობიექტებთან დაკაშვირებით 2014 წლის ანგარიშშიც იყო საუბარი.

36 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 16 დეკემბრის რეკომენდაცია #04-9/10226

37 ქირის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა.

უმძიმესი ვითარებაა, **ქუთაისში, „გუმათის სკოლა ინტერნატის“, „წყალწითელას“ პანსიონატის, სასტუმრო „ზესხოს“ „მთის ბროლის“ და სანატორიუმ „ხვამლის“** შენობებში.

გუმათის სკოლა ინტერნატის შენობა

მონიტორინგის შედეგად, მძიმე საცხოვრებელი პირობები გამოიკვეთა წყალტუბოს რაიონში მდებარე ყოფილ კოლექტიურ ცენტრებში **(„სანატორიუმი ფილიალი“, „სანატორიუმი იმერეთი“, „ინტურისტი“)**. მათი უმრავლესობა ყოფილი სანატორიუმის შენობებია, რომლებსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია. შესაბამისად, შენობების უმრავლესობა ამორტიზებულია, დაბზარულია კედლები, სახურავიდან ჩამოდის წყალი და არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

წყალტუბო, სანატორიუმი ფილიალი

დევნილებს, კვლავ გაუსაძლის მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება დაბა სურამში „სანატორიუმ სურამში“, ქალაქ გორში „ტურბაზა ხის კოტეჯებში“, სასტუმრო „ქართლში“ და ყოფილ ნარკოლოგიურის შენობებში.[38] უცვლელია მდგომარეობა **ქ. გორში** ვერხვების დევნილთა დასახლებაში. დევნილებს არ აქვთ საკუთარი სახსრებით სარემონტო სამუშაოების ჩატარების საშუალება. სასურველია ჩატარდეს აღნიშნული დასახლების ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს დაექვემდებარება თუ არა ეს ობიექტი სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დევნილთა რიგ დასახლებებში, როგორიცაა **ბერბუკი, სკრა, ხურვალეთი და საქაშეთი** მთავარ პრობლემას წარმოადგენს სასმელი და სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა, შიდა გზები, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო მილები, კოტეჯური ტიპის ჩასახლებები, რომლებიც ჭაობიან ადგილებზე აშენდა, დღემდე უქმნის მოსახლეობას მთელ რიგ პრობლემებს.

დაზიანებული შენობების მხრივ მძიმე მდგომარეობაა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ყოფილი კოლექტიური ცენტრი. ზუგდიდში, სოფელ ცაისში „კურორტის სამრეცხაო“-ს, სოფელ ინგირში „მეურნეობის სასტუმროს“ და „შეკეოს“ შენობებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში მონიტორინგი განხორციელდა აღმოსალეთ საქართველოში **(კახეთში)** მდებარე დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში.[39]

მონიტორინგის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური სიახლეებისა, **კახეთის რეგიონში** იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილისათვის საცხოვრებელი პირობები კვლავ ძალიან მძიმეა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამოდენიმე ობიექტი. კერძოდ, **ქალაქ წნორში მდებარე ყოფილი სასტუმრო ქიზიყის შენობა**. დაზიანებულია მზიდი კედლები, სახურავიდან წვიმის დროს ჩამოდის წყალი, დაზიანებულია შენობის საძირკველი, წყალგაყვანილობის სისტემა, შენობაში არ არის საკანალიზაციო მილები.

38 ამ ობიექტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშშიც საუბრობდა გვ.811

39 მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ობიექტებში: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე ყოფილი ტექნიკუმის შენობა, სოფელ ზემო ბოდბეში სკოლა-ინტერნატის შენობა, ქალაქ წნორში აღმაშენებლის ქუჩაზე ყოფილი პურკომბინატის და სასტუმრო ქიზიყის შენობა, სოფელ ხირსაში ხირსის მეურნეობის შენობა, ყოფილი პროფ.სასწავლებლისა და გვარდიის შენობები

წნორი, სასტუმრო ქიზიყი

აღნიშნულ შენობაში მცოხვრებმა დევნილებმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თხოვნით, თუმცა მათ დღემდე ძალიან მძიმე მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება.

წნორი, სასტუმრო ქიზიყი

ერთ-ერთ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტს წარმოადგენს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, **დაბა კაზრეთში მდებარე „მადნეულის საერთო საცხოვრებლის“** შენობა. აღნიშნულ ობიექტში, სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით, 39 დევნილია რეგისტრირებული.[40]

განხორციელებულმა მონიტორინგმა, ცხადყო, რომ 2016 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამინისტროსთვის ასეთი შენობებიდან დევნილთა განსახლება, ან შენობების რეაბილიტაცია უნდა იყოს. დანგრევის პირას მყოფი ობიექტების პრობლემის გადაჭრის გადავადებამ, შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს. იქ მცხოვრები დევნილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ არის.

40 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 11 ივნისის #01-01/07/16328 წერილი

განსახლებულ დევნილთა ინტეგრაცია

2010-2012 წლის საპარლამენტი ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი დეტალურად განიხილავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება/ განსახლების პროცესს. არაერთი განცხადება გაკეთდა პროცესის არასწორ დაგეგმვასა და განხორციელებაზეც, განსაკუთრებით კი პროცედურულ დარღვევებზე დევნილთა სხვადასხვა ობიექტებიდან გამოსახლებისას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა ალტერნატიული საცხოვრებლების მონიტორინგი, რომლის შედეგებიც ასახულია საპარლამენტო ანგარიშებში.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ ინფორმაციის არარსებობა იყო. კერძოდ, დევნილებს, რომლებიც ალტერნატიულ განსახლებას ექვემდებარებოდნენ, არ ჰქონდათ ინფორმაცია ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მათ მხოლოდ გამოსახლების დღეს მიაწოდეს. შესაბამისად, მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ვინაიდან, ალტერნატიულ საცხოვრებლებში, განსახლებული დევნილები სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებულად ითვლებიან, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა.

2015 წელს პროექტის[41] ფარგლებში განმეორებითი მონიტორინგი განხორციელდა, რომლის მთავარი მიზანი დევნილთა განსახლების ადგილებში არსებული მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გადამოწმება იყო. ასევე, იმის დადგენა, გამოსწორდა თუ არა ის პრობლემები, რომლებიც პირველადი მონიტორინგისას გამოვლინდა, შესრულდა თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, არის თუ არა რეგიონებში პოზიტიური ძვრები ან გამოვლინდა თუ არა ახალი ტიპის პრობლემატიკა, რომელიც პირველადი მონიტორინგისას არ დაფიქსირებულა. მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ობიექტებში: **მარენულის მუნიციპალიტეტის დაბა შაუმიანში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაკურციხეში, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ფოცხო-ეწერში.**

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დევნილთა მდგომარეობა საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ არ გაუმჯობესებულა. სახელმწიფოს მიერ კვლავ არ ხორციელდება დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა კი არ იძლევა დევნილთა ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რეგიონებში განსახლებული დევნილების უმრავლესობის შემოსავლის მთავარ წყაროს კვლავ სოციალური შემწეობა წარმოადგენს.

41 „სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“ პროექტი დაფინანსებულია ბრიტანეთის საელჩოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, მონაწილე სახელმწიფოებმა, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში ყველა სათანადო საშუალება უნდა გამოიყენონ მათთვის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამოსაყოფად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.[42]

მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემად რჩება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დევნილებისთვისთვის გადაცემის საკითხი. **ბაკურციხეში** მცხოვრები დევნილი ოჯახები პირველადი მონიტორინგის ჩატარების დროს უთითებდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების არქონის შესახებ. განმეორებითი მონიტორინგის განხორციელებისას, ცხადი გახდა, რომ აღნიშნული საკითხი ამ დრომდე მოუგვარებელია. დევნილთა განმარტებით, მათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართეს, თუმცა მათგან რაიმე კონკრეტული პასუხი თუნდაც მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, ვერ მიიღეს. ყოფილი ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის შენობაში 35 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული, აქედან მხოლოდ 16 დევნილ ჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში. რაც შეეხება მიწის ნაკვეთებს, მათი დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა არ იგეგმება.[43]

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ დაბა **შაუმიანში „ყოფილი სამხედრო ბაზის შენობაში“** სადაც დარეგისტრირებულია 186 დევნილი ოჯახი, საკუთრებაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. თუმცა, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ დევნილებს ამ დრომდე არ გადასცემიათ საცხოვრებელი ფართები კერძო საკუთრებაში.[44]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოს ძირითად მიზანს უღარიბესი ფენის და იმ პირთა მიწით უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს, რომლებსაც ის არ გააჩნიათ. უნდა განისაზღვროს მთავრობის მკაფიო ვალდებულებები, რომლებიც კონკრეტულ შინაარს შესძენს პირის უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ცხოვრების უფლებას, მათ შორის კანონით დადგინდეს მიწაზე ხელმისაწვდომობა.[45]

მონიტორინგისას ასევე ვეცადეთ, გაგვერკვია ზოგადად რა სახის პრობლემები აწუხებთ რეგიონებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს-დევნილებს.

42 Right to adequate Housing (art11.1): forced evictions, CESCR General Comment 7, 05.20.1997, para. 17

43 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა 2015 წლის 15 აპრილის #01/0/07/10355 წერილი.

44 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, /განსახლებისა და ლტოლვილთა 2015 წლის 15 აპრილის #01/01/07/10356 წერილი

45 The Right to adequate housing (art.11(1)):13/12/91, CESCR General Comment 4, para.8(e).

გთხოვთ, დაასახელოთ ძირითადი პრობლემა რაც ამ ეტაპზე განსახლების ადგილას გაქვთ?



ცხადი ხდება, რომ უმუშევრობა კვლავ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. იძულებით გადაადგულებულ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების ჩარჩო პრინციპების თანახმად, განსახლების პროცესისას სახელმწიფომ ისეთი ტიპის ადგილები უნდა შეარჩიოს სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობა არსებობს, რაც თავის მხრივ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას შესაძლებელს გახდის .[46]

სოფ. წინწყაროში, განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დევნილებისთვის უცვლელ პრობლემად რჩება გადაცემული საცხოვრებელი ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურ ანგარიშებში ხაზს უსვამს **ფოცხო-ეწერში** ჩასახლებული დევნილების პრობლემებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ ობიექტში მცხოვრები დევნილებისათვის პრობლემები კვლავ უცვლელი რჩება. ამ დრომდე ფოცხო-ეწერში არ ფუნქციონირებს აფთიაქი , იქ მცხოვრებ დევნილ ოჯახებს მედიკამენტების შესაძენად დაბა ჯვარში უწევთ ჩასვლა; გარდა ამისა, ფოცხო-ეწერში არ არის სამედიცინო პუნქტი; დევნილების განმარტებით, სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათ ზუგდიდში უწევთ ჩასვლა, რაც ცალკე ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც დევნილთა გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარეობს, დღემდე არაერთი პრობლემა რჩება მოუგვარებელი, აღნიშნული კი სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან დიდ ძალისხმევას და აქტიურ მუშაობას მოითხოვს.

46 Framework on durable Solutions for Internally Displaced persons

ერთჯერადი ფულადი დახმარება

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების თანახმად,[47] კომისიას[48] უფლება აქვს შეისწავლოს დევნილთა სხვა საჭიროებები შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ხოლო, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2015–2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის მიხედვით,[49] გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში დევნილს სახელმწიფო უზრუნველყოფს ერთჯერადი ფულადი დახმარებით, შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად.

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით,[50] ერთჯერადი ფულადი დახმარება 2013 წელს გაიცა 2193 დევნილზე, 2014 წელს – 4791 დევნილზე, ხოლო 2015 წელს – 2563 დევნილზე. ფინანსური დახმარების მიზნით, 2013 წელს დაიხარჯა 264 682 ლარი, 2014 წელს – 850 160 ლარი, ხოლო 2015 წელს 750 185 ლარი. ამავე ინფორმაციით, ერთჯერადი ფულადი დახმარების მინიმალური თანხის ოდენობა შეადგენს 100 ლარს, ხოლო მაქსიმალური თანხა არ არის განსაზღვრული.

წარმოდგენილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარებებით აქტიურად სარგებლობენ დევნილი ოჯახები. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს გაწერილი კრიტერიუმები, რომლის ფარგლებშიც შეფასდება დევნილი ოჯახის დახმარების გადაუდებელი აუცილებლობა. ამასთან, არ არის განსაზღვრული გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა, რაც ფართო დისკრეციას ანიჭებს დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას, თითოეული განცხადების განხილვის დროს.

47 „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება, დანართი N7.

48 დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომას ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები არ ესწრებიან.

49 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის N127 განკარგულებით, მუხლი 2.2.4.

50 წერილი N01-02/08/31139 10.12.2015წ.

დასკვნა

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებისაღნიშნულიჯგუფისძირითადიპრობლემებიწლების განმავლობაში უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელი გამოირჩეოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მასშტაბური პროცესებით, ჩვენი საქმიანობის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, რომლებზე მუშაობაც უნდა გაგრძელდეს, რათა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების დიდი ნაწილი გადაიჭრას.

გარდა გრძელვადიანი განსახლებისა, აუცილებელია დევნილთა ინტეგრაცია მათი განსახლების ადგილებში. დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მიზნით, აუცილებელია მათ საჭიროებებზე მორგებული მიდგომა. აუცილებელია სახელმწიფომ დროულად დაიწყოს ამ საკითხზე მუშაობა, ხელი შეუწყოსდევნილთათვისსაარსებოწყაროებისხელმისაწვდომობისმხარდაჭერის სტარტეგიით გაწერილი ღონისძიებების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის #320 ბრძანება რამდენჯერმე შეიცვალა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ ის კვლავ საჭიროებს დახვეწას.

2016 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამინისტროსთვის ნგრევადი და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრებ ოჯახებს განსახლება, ან შენობების რეაბილიტაცია უნდა იყოს. დანგრევის პირას მყოფი ობიექტების პრობლემის გადაჭრის გადავადებამ, შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს. იქ მცხოვრები დევნილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყოველდღიურად საფრთხის ქვეშ არის.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- დევნილების განსახლებაზე მიღებული უარყოფითი შეფასებისას, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმში გაიწეროს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძვლები;
- შემუშავდეს რეგისტრაციის მისამართზე დევნილი ოჯახის არყოფნის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა, რომლითაც დადასტურდება სამინისტროს წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ვიზიტისა და დევნილი ოჯახის მისამართზე არცხოვრების ფაქტი;
- სამართლებრივი აქტით დარეგულირდეს დევნილი ოჯახის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების დადგენის პროცედურები და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები;
- გაიწეროს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის კრიტერიუმები, რომელიც გამოავლენს აუცილებელი ფინანსური დახმარების მიმღებ მოწყვლად ჯგუფს;
- 2016 წელს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში, პრიორიტეტი მიანიჭოს ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებს;
- უზრუნველყოს დევნილთა განსახლება ისეთ ადგილებში, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე;
- რეგიონებში განსახლებულ დევნილებს გადაეცეთ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო, ახალი განსახლების ადგილებზე განხორციელდეს დევნილთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები;
- მიღებული იქნას კონკრეტული ზომები დევნილთა ინფორმირებულობის ხარისხი გაზრის კუთხით, როგორც საპრივატიზაციო და სარეაბილიტაციო პროცესების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების, ისე დევნილთა უფლებების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდის მხრივ;
- ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, განხორციელდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები და მხოლოდ რეაბილიტირებული შენობის გადაცემა მოხდეს დევნილთა საკუთრებაში.